ხელშეკრულება №03/127
შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 07.08.2015წ.

ერთის მხრივ "სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი" შემდგომში – "შემსყიდველი", დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით და მეორეს მხრივ შპს "ITA GEORGIA" შემდგომში "მიმწოდებელი" დირექტორის ავთანდილ ჭოლოკავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია:
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში "თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები" (საგრანტო ხელშეკრულება № Cf/72/11-811/15) მონაწილეობის მისაღებად ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორების ბორის შიროკოვის, ვოლოდიმერ ჩიჟოვის და ვოლოდიმერ ლევენეცის ავიაბილეთების შეძენა (კოდი 22459000). (ინვოისი №08-03)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2555.43 (ორი ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი ლარი და 43 თეთრი) ლარს. დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
3.2 შესყიდული საქონლის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით „მიმწოდებლის" მიერ აღებული ვალდებულების სრულად შესრულებისა და ანგარიშფაქტურის ან ზედნადების წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მომწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
4.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით
4.3 მომწოდებელი ვალდებულია
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

5.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ

ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
5.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მახარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
5.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
5.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საეთო ღირებულების 0,1% ოდენობით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 07.08.2015-დან 17.08.2015-მდე.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
7.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
7.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2 შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
9.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნების მიზეზების მითითებით.
9.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავინთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოხუმის ი. ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი მისამართი: ქ.თბილისი, მინდელის ქ. №7 ს/კ 249250821 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 სახაზინო კოდი: 0708687520	შ.პ.ს „ITA GEORGIA“ მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ.№37 ს/კ 253071580 ტელ:2557777 "თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ა/ა GE91TB 0600 0000 1846 7720
დირექტორი: გურამ ბოკუჩავა	დირექტორი: ავთანდილ ჭოლოკავა